შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის „საქართველოს შემსწავლელი მეცნიერებების“ ერთობლივი კვლევითი პროგრამის საგრანტო კონკურსი

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

კონკურსის მიზანი

- საქართველოს შემსწავლელ მეცნიერებებში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე დარგობრივი და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარება და პოპულარიზაცია საერთაშორისო ასპარეზზე;

- ახალგაზრდა მკვლევართა მოზიდვა და მათი სამეცნიერო პოტენციალის ზრდა, ქვეყნის ისტორიის, კულტურის, დამწერლობის, ენისა და ლიტერატურის, არქეოლოგიისა და ხელოვნების, რელიგიის, სოციალურ - ეკონომიკური, პოლიტიკური ტრანსფორმაციის თანამედროვე კვლევების შედეგების გავრცელება საერთაშორისო აკადემიურ ქსელში;

- საქართველოსა და რეგიონის შემსწავლელი თანამედროვე კვლევების გამოყენებით თანამშრომლური კონტაქტებისა და კვლევითი კონსორციუმების ჩამოყალიბება, მრავალმხრივი, მდგრადი საერთაშორისო თანამშრომლობის უზრუნველყოფა.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

დაფინანსება შეიძლება მოიპოვოს:

- სოციალური და ჰუმანიტარული კვლევების მიმართულებით - **საქართველოს მოქალაქე ფიზიკურმა პირმა**, რომელსაც **დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი** მიენიჭა პროექტის განხორციელების დაწყებამდე (2019 წლის იანვარი) ბოლო 7 წლის განმავლობაში.

- ოლივერ და მარჯორი უორდროპების კოლექციის კვლევების მიმართულებით - **საქართველოს მოქალაქე ფიზიკურმა პირმა**, რომელსაც აქვს **დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი**.

კონკურსის ფარგლებში ფინანსდება

- კონკურსის შედეგად შესაძლოა დაფინანსდეს **3 კვლევითი პროექტი:**
2 პროექტი სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, რომელიც ეხება საქართველოს ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, ეკონომიკის, პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობების, ისტორიის, ხელოვნების, რელიგიის, საზოგადოებისა და კულტურის მიმართულებით;
ასევე, **პროექტი უორდროპების კოლექციაზე მუშაობისათვის** ბოდლეინის ბიბლიოთეკაში.

- პროექტის ხანგრძლივობა: 12 თვე

- პროექტის ბიუჯეტი: 30 000 დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარში

პროექტის ბიუჯეტი

- **მიწვეული მკვლევრის სტიპენდია** – 20 000 გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარში.
- პროექტის განხორციელების **ადმინისტრაციული ხარჯი** – 10 000 გირვანქა სტერლინგის ეკვივალენტი ლარში. თანხა ერიცხება ოქსფორდის უნივერსიტეტს.

სტიპენდია შესაძლოა გამოყენებული იქნეს: ორმხრივი მგზავრობის ხარჯების (ერთი ორმხრივი ავიაბილეთი), ვიზის მოსაკრებლის, სამოგზაურო და ჯანმრთელობის დაზღვევის ხარჯის, ადგილობრივი მგზავრობის ხარჯის (საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხარჯების), საცხოვრებლის (ბინის, საერთო საცხოვრებლის ხარჯის), საკვებისა და საგანმანათლებლო ლიტერატურის შეძენის ხარჯის ასანაზღაურებლად.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

კონკურსის ადმინისტრირების განრიგი

- კონკურსის გამოცხადება დადგენილი წესით - 2018 წლის 22 იანვარი
- **პროექტების ელექტრონულად წარდგენა ფონდში - 8 ივნისი, 18:00 სთ** (ბოლო ვადა)
- **კონკურსში მონაწილეობის შესახებ განცხადების წარდგენა ფონდის კანცელარიაში - 3 ივნისი, 16:00 სთ** (ბოლო ვადა)
- რეგისტრირებული პროექტების ტექნიკური ექსპერტიზა - 14-15 ივნისი
- პროექტების შეფასება ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთობლივი კომისიის მიერ - 18-29 ივნისი
- ინტერვიუსთვის შერჩეული კანდიდატებისთვის ფონდიდან შეტყობინების გაგზავნა - 2 ივლისი
- შერჩეულ კანდიდატებთან ინტერვიუ - ივლისი
- კომისიის შეფასების საფუძველზე გამარჯვებული პროექტების გამოვლენა და ფონდის გენერალური დირექტორის მიერ მათი დამტკიცება - ივლისი
- საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმება - ოქტომბერი

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

პროექტის რეგისტრაცია

➢ პროექტის **ელექტრონული რეგისტრაციისათვის აუცილებელია** ფონდის გრანტების მართვის ერთიან სისტემაში (**GMUS**-ში) „მეცნიერის პროფილის“ შევსების გზით დარეგისტრირდეს კონკურსის მონაწილე და შემდეგ დაარეგისტრიროს პროექტი.

პროექტის ელექტრონული რეგისტრაციისას აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს:

- **კვლევითი პროექტი** (ინგლისურ ენაზე იტვირთება GMUS-ში PDF ფორმატში)
- **CV** (ივსება GMUS-ში „მეცნიერის პროფილის“ რეგისტრაციისას, რის შემდეგაც, ჩამოიტვირთება ბაზიდან და PDF დოკუმენტის სახით ინგლისურ ენაზე იტვირთება GMUS-ში პროექტის წარდგენისას);
- **სამი რეკომენდატორის სია** (ივსება GMUS-ში);
- **აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი*** (იტვირთება GMUS-ში PDF ფორმატში);
- **პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი** (იტვირთება PDF-ში PDF ფორმატში).

➢ **განცხადება კონკურსში მონაწილეობის შესახებ** (გენერირდება GMUS-ში) შევსებული და ხელმოწერილი წარმოდგენილი უნდა იქნეს ფონდის კანცელარიაში.

პროექტის შეფასება

პროექტებს აფასებს **ფონდისა და ოქსფორდის უნივერსიტეტის ერთობლივი საკონკურსო კომისია.**

შეფასება შედგება ორი ნაწილისგან:

- ❑ პროექტის შეფასება
- ❑ გასაუბრება

გამარჯვებულ კონკურსანტებთან გაფორმდება ხელშეკრულება.

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©

შოთა რუსთაველის საქართველოს
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE
FOUNDATION OF GEORGIA

მადლობა ყურადღებისთვის

www.rustaveli.org.ge

შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდი ©